ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი

კერძო პირთათვის 15.000 მანეთი.

სახელმწიფო დაწეს. 10.000 მანეთი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი
მეორე

მოამბე

ხუთშაბათი,
ოქტომბრის 1.
1922 წ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა.

№ 40 ორკვირეული ორგანო. № 40

ჟურნალ „მოამბე“-ს რედაქციისაგან.

ყველა ხელის მომწერთა, სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა და კერძო ორგანიზაციების საყურადღებოდ რედაქცია აცხადებს, რომ

ჟურნალი უფასოდ არავის გაეგზავნება.

ყველა ხელის მომწერი ვალდებულია გადაიხადოს მათზე დარიცხული ხელის მოწერის ფასი, წინააღმდეგ შემთხვევაში მოესპობათ ჟურნალის გზავნა.

ყოველგვარი განცხადების ფასი: სტრიქონი—10.000 მანეთი.

ჟურნალში მოსათავსებელი განცხადება დაიბეჭდება მხოლოდ ფულის შემოტანის შემდეგ.

რედაქცია ღიაა დილის 9 ს. 3 საათამდე კვირა-უქმეების გარდა.

რედაქციის მისამართი

შინ. საქ. სახ. კომისარიატის ბინა: ევანგულოვის ქ. № 1. (ყოფ.—კადეტთა კორპუსის შენობა) ტელეფონი № 6—90.

ორგანიზაციების და დაწესებულებათა საყურადღებოდ.

შ. ს. ს. კომისარიატის ჟურ. „მოამბის“ რედაქციას სხვადასხვა ორგანიზაცია, დაწესებულება და კერძო პირები, უგზავნის ხოლმე განცხადებას ჟურნალში დასაბეჭდად. იმის მიუხედავად, რომ ჟურნალის პირველ გვერდზე (სს. „მოამბე“ №№ 38, 39 და სს.) სხვილი ასოებითაა დაბეჭდილი, რომ განცხადება თითო სტრიქონი „მოამბისა“ ღირს 10,000 მან., გვატყობინებენ გიგზავნით„ ან შეტანილია ხაზინაში ჩვენს სახელზე, ხუთი ათასი, ათიათასი და სს. მთელ განცხადების ფასად. **უკანასკნელად აცხადებს რედაქცია**, რომ არც ერთი **განცხადება არ იქნება მოთავსებული „მოამბეში“, თუ კი განცხადების ფასი წინდაწინ, სტრიქონში ათი ათასი (10 000) მან.** არ იქნა შემოტანილი ან რედაქციაში და ან ხაზინაში. უკანასკნელ შემთხვევაში სათანადო ოფიციალი დოკუმენტი, უნდა გადმოეგზავნოს რედაქციას. ამიტომ, რედაქცია ეოველგვარ პასუხისმგებლობას იხდის თავიდან განცხადების ან ნისიად, ან ნაკლებ ფასებში დაუბეჭდველობის გამო.

ჟურნალი „მოამბის“ რედაქცია.

ოფიციალური განყოფილება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს. ს. ს. რ. საქ. საზ. კომ. საბჭო.

ცირკულიარულად.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს და ყველა სამაზრო აღმასკომებს.

სახალხო კომისართა საბჭოში ხშირად შემოდის ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოთა შუამდგომლობანი სხვა და სხვა ადგილობრივი მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, როგორცაა, გზების ხიდეების და არხების შეკეთება და სანიტარული საჭიროებანი, დახმარების აღმოჩენისა ან და ადგილობრივ ერთდროული გადასახადის შემოღების შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭო ერთხელ და სამუდამოთ გაცნობებთ სახელმძღვანელოდ და ასრულებისათვის, რომ ამიერიდან ზემოაღნიშნულ შემთხვევაში წარმოდგენილ უნდა იქნეს დასაბუთებული მოხსენება და დაწვრილებითი ხარჯთ-აღრიცხვა, თუ რისთვის, რა სახის და რაოდენობის დახმარება არის საჭირო წინაალმდეგ შემთხვევაში შუამდგომლობანი უყურადღებოთ იქნებ ან დატოვებულნი.

სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ს. ქავთარაძე.**

საქმეთა მმართველის მოადგილე
ვ. სვიმონიშვილი.

1922 წ. აგვისტოს 31 № 7437.
ქალ. ტფილისი.

გრძანება № 6.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

31-დან ამხ. **ბ. კვირკელია** დანიშნულია სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეთ ამხ. **ს. ქავთარაძის** აქ არ ყოფნის დროის განმავლობაში.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ს. ქავთარაძე.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის მოადგილე **ა. ფანასიევა.**

1922 წ. აგვისტოს 31.
ტფილისი —სასახლე.

დეკრეტი № 13

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი. მთრიმლავ მასალაზე სახელმწიფო მონოპოლიის დაწესების შესახებ.

საქართველოში ტყავეულის მრეწველობისთვის საჭირო მთრიმლავ მასალის წესიერ მომარაგებისა და ამ მასალის მიზანშეწონილად განაწილებისათვის საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მიწა-წყალზე მთრიმლავ მასალის (როგორიც არის მაგალითად: მუხის ქერქი, ,,სუმახი'', ,,სკუმპია'', ,,კერმეკი'' და შვინდის ფურცლები) შეძენა და ძისი გაყიდვა შეადგენს სახელმწიფოს განსაკუთრებულ უფლებას და ამ საქმეს აწარმოებს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ტყავეულის განყოფილება.

2. მთელი მთრიმლავი მასალის აღნუსხვა და ამ მასალის მიზანშეწონილად დახარჯვის კონტროლი საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მთელი მიწა-წყალზე დაევალება სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ტყავეულობის განყოფილება.

შენიშვნა 1: საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის საზღვრებიდან მთრიმლავ მასალის გატანის უფლება ეძლევა ტყავეულის განყოფილებას საგარეო ვაჭრობის გაერთიანებულ კომისარიატთან შეთანხმებით.

შენიშვნა 2: საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის საზღვრებში შემოტანა უცხოეთში დამზადებული ყველა სახის მთრიმლავი მასალისა, რომლის რიცხვსაც არ ეკუთვნის

სხვა-და-სხვა ჯიშის და სახის ექსტრაქტი (როგორც არის მაგალითად „მირობოლანი", „გალვეი" და სხვ.) შეადგენს სახელმწიფოს განსაკუთრებულს უფლების და ეს საქმე განხორციელდება სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ტყავეულის განყოფილების მიერ საგარეო ვაჭრობის გაერთიანებულ კომისარიატთან შეთანხმებით.

3. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მიწა-წყალზე მთრიმლავ მასალის შეგროვება სწარმოებს მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის ნება დართვით; ამასთანავე მოქალაქენი შეგროვილ მთრიმლავ მასალას წარადგენენ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ორგანოთა განკარგულებაში ტყავეულის განყოფილების მიერ დაწესებულ ფასებით

4. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ტყავეულის განყოფილებას უფლება ეძლევა ამა დეკრეტის განსავითარებლად, აგრეთვე მთრიმლავ მასალის მოკრეფის საქმის მოსაწესრიგებლად და რესპუბლიკაში დამზადებულ მთრიმლავ მასალაზე პერიოდიულად ფასების დასაწესებლად გამოსაცემ სავალდებულო დადგენილებანი.

5. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ.
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ს. ქავთარაძე.

სახ. მეურნეობის. უმაღ. საბჭოს
თავმჯდომარე **ტორ. შელიძე.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის
მოადგილე **ა. აფანასიევა.**

1922 წ. აგვისტოს 30
ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 45.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

შრომისა და შარა გზით ტვირთზიდვის ხარკისაგან შემოსული თანხების საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატის დეპოზიტად გადარიცხვის შესახებ.

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის მიერ ამა 1922 წ. თებერვლის 10-ს თარიღითა და 145 №-ით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხლის 1.ლი და მე-2 შენიშვნის დამატებად და გასავითარებლად, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. შრომისა და შარაგზით ტვირთზიდვის ხარკის ნატურალურად გადახდის ნაცვლად მიღებული ყველა თანხები, შეტანილ უნდა იქნეს ადგილობრივ ან უახლოეს ხაზინაში საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატის დეპოზიტად.

2. შრომის სახალხო კომისარიატი ფულადი შემოსავლის 85%-ს გადასაცემს ადგილობრივ კომუნალურ განყოფილებებს, ხოლო დანარჩენს მოახმარს შრომისა და შარაგზით ტვირთზიდვის ხარკის განხორციელების საქმეს.

3. ფინანსთა და შრომის სახალხო კომისარიატებს უფლება ეძლევა შეიმუშაონ სათანადო ცირკულიარები ამა დადგენილების განხორციელებისათვის.

4. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ.
საბჭოს თავმჯდომარე **ს. ქავთარაძე**

შრომის სახალხო კომისარის
მოადგილე **ა. მიქაძე.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის
მოადგილე **ა. აფანასევა.**

1922 წ. აგვისტოს 30.
ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 46.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი. წყლისა და წყლის ენერგიის სარგებლობისთვის სასყიდლის დაწესების შესახებ.

რათა სათანადოთ განვითარდეს საშური და უაღრესი მნიშვნელობის სამუშაო წყალთა-შენის დარგისა, როგორიც არის მაგალითად: მორწყვა, დაშრობა, ნაპირთა გამაგრება, წყალდიდობასთან ბრძოლა, წყლის მომარაგება, წყლის ენერგიის გამოყენება (ჰიდრო-ელექტროფიკაცია) და რათა შეიქმნეს საამისო ფონდი,—საქართველოს სოც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა სიბჭო ადგენს:

1. ყოველგვარი გამოყენება წყლისა და წყლის ენერგიისა სატეხნიკო სამრეწველო მიზნით ვისგანაც უნდა იყოს: სახელმწიფო, საზოგადო და კერძო ორგანიზაციისა, ან პირის მიერ,—გარდა შინაური საჭიროებისა, ე. ი. სანიტარული და ტეხნიკური ხასიათისა (საქონლისათვის წყლის დალევინება, წყლის მომარაგება, მიწის სამუშაო მოძრავი მანქანებისათვის წყლის მოწოდება და სხვა ამისთ.)—შეიძლება მხოლოდ განსაკუთრებული სასყიდლის გადახდით სახელმწიფო სასარგებლოდ.

2. 1-ლი მუხლის თანახმად, წყლის წისქვილის საჭიროებად წყლის ენერგიის სარგებლობისთვის დაწესებულ იქნეს სასყიდელი—ნახევარი გირვანქა ფქვილი თითო ფუთ საფქვავზე. წლიური სასყიდელი განისაზღვრება ერთიანოულად წისქვილის საშუალო წლიური ნაყოფიერების მიხედვით, არსებული სამინდო გადასახადი ამ წისქვილებისათვის გაუქმებულ იქნეს.

3. სასყიდელი ესე შეტანილ უნდა იქნეს ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტში, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს წყალთა შენის განყოფილებისათვის, არა უგვიანეს ოქტომბრის 1-სა, ფქვილად ან ფულად საბაზრო ფასის მიხედვით, რაც დამტკიცებული იქნება მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ.

4. წყლის წისქვილის შემოსავლის 15 პროც.,—მე 3 მუხ. თანახმად, გადაეცეს ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტს, ხოლო დანარჩენი შემოსავალი უნდა გაიყოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს წყალთა შენის განყოფილებისა და სასურსათო სახალხო კომისარიატის შორის.

5. სასყიდლის რაოდენობა, წესი და ვადა სხვაგვარი სატეხნიკო —სამრეწველო მიზნით წყლისა და წყლის ენერგიის სარგებლობისთვის განისაზღვრება სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოპრეზიდიუმის მიერ.

6. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის
მოადგილე **ბ. კვირკელია.**

სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს
თავმჯდომარე **მ. ტოროშელიძე.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის
მოადგილე **ა. აფანასიევა.**

1922 წ. აგვისტოს 31. ტფილისი—სახლე.

დადგენილება № 47.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.—სახალხო სასამართლოს დებულების 123 მუხ. დამატების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ამიერ კავკასიის სოც. საბჭ. რესპუბლიკების ფედერატიული საბჭოს მიერ 1922 წლის ივნისის 27-ს თარიღითა მე-9 ნომრით გამოცემული დეკრეტის თანახმად, სახალხო სასამართლოთა დებულების 123 მუხლს დაემატოს შემდეგი შენიშვა:

„ის, ვინც ამიერ კავკასიის სოც. საბჭ. რესპუბლიკების გაერთიანებულ რკინისგზათა წინააღმდეგ სარჩელს შეიტანს იმ საზღაურის შესახებ, რომელიც გამოიდინარეობს ადგილობრივი გადაზიდვის ხელშეკრულებიდან, ხოლო თავის მოთხოვნას ამ რკინის გზებს სამართველოს წინასწარ არ წარუდგენს ან მოთხოვნის წარდგენის შემდეგ ერთი თვის ვადის გასვლას არ დაუცდის, ჰკარგავს სასამართლოს ხარჯის და საქმის საწარმოებელ გასამრჯელოს მიღების უფლებას იმ შემთხვევაში, უკეთუ გზათა სამმართველო სასამართლოს პირველ სხდომაზე სამართლიანად იცნობს მთელ სარჩელს ან მის ნაწილს. ამის გარდა, მოჰჩივანს გარდაჰხდება გზათა სამმართველოს სასარგებლოდ ხარჯი და საქმის საწარმოებელი გასამრჯელო სარჩელის მთელი თანხის კვალობაზედ, უკეთუ გზათა სამმართველო მთელ სარჩელს სამართლიანად იცნობს, წინაღმდეგ შემთხვევაში კი ეს ხარჯი და გასამრჯელო გარდაჰხდება სარჩელის იმ ნაწილის მიხედვით, რომელსაც სამმართველო სამართლიანად იცნობს".

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ბ. კვირკელია.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის მოადგილე **ა. აფანასიევა.**

1922 წ. სექტემბრის 1.

ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 48.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკიდან მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკებში ყოველგვარი ტვირთის თავისუფლად გატანის შესახებ:

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ნებადართულ იქნეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკიდან თავისუფალი გატანა მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკებში ყოველგვარი ტვირთისა.

2. ყველა დადგენილება და განკარგულება, რომელიც იკვე გამოცემულია ამის გამო, გაუქმებულ იქნეს.

3. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ბ. კვირკელია.**

სასურსათო სახალხო კომისარი **ა. ერქომაიშვილი.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის მოადგილე **ა. აფანასიევა.**

1922 წ. სექტემბრის 1.

დადგენილება № 49.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

საწარმოვო და სხვა დაწესებულებებში სარელიგიო წესების ასრულების აკრძალვის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. აღსრულება სახელმწიფო ან საზოგადოებრივ საწარმოო და სხვა დაწესებულებებში სარელიგიო წესებისა, აგრეთვე მოთავსება ამ დაწესებულებათა შენობებში რაიმე სარელიგიო ნახატებისა დაისჯება იძულებითი მუშაობით სამოვემდე, ან ჯარიმით 300 მანეთამდე ოქროთი.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ს. ქავთარაძე.

სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის
მოადგილე **ა. აფანასიევა.**

1922 წ. სექტემბრის 15.
ტფილისი-სასახლე.

დადგენილება № 50.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი. სახელმწიფო საწარმოო და სხვა დაწესებულებათა თანამშრომლების დაპატიმრების შემთხვევაში ამა დაწესებულებათათვის ცნობის სავალდებულოდ გაგზავნის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ყოველი უწყების თანამდებობის პირი, რომელსაც კანონით მინიჭებული აქვს დაპატიმრების უფლება, მოვალეა იმ შემთხვევაში, უკეთუ დაპატიმრებული სახელმწიფო საწარმოო და სხვა დაწესებულების თანამშრომელი იქნება, — აცნობოს ამის შესახებ დაპატიმრებულის უშუალო უფროსს არა უგვიანეს ოცდა ოთხი საათისა დაპატიმრების წამიდან.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ს. ქავთარაძე.

სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის
მოადგილე **ა. აფანასიევა.**

1922 წ. სექტემბრის 15.
ტფილისი-სასახლე.

დადგენილება № 51.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

საატარიფო განკვეთის შესახებ.

ამა 1922 წლის ივნისის 26-ს თარიღითა და 29 №-ით გამოქვეყნებული დადგენილების მე-3 პუნ. ლიტ. „ა“ და „ბ“ თანახმად საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორია, ადგილობრივ პირობათა მიხედვით, განაწილებულ იქნეს ოთხ ზოლად:

პირველ ზოლს მიეკუთვნოს: ქ. თბილისი ავჭალითურთ, ქ. ბათუმი, ტყიბული (მალაროს ტერიტორია), ჭიათურა (სამრეწველო რაიონი), ქ. ფოთი, ქ. სოხუმი.

მეორე ზოლს მიეკუთვნოს: ქ. ქუთაისი, ქ. ბორჯომი, ბათომის ოლქი, სვანეთი და რაჭის და ლეჩხუმის მაზრები.

მესამე ზოლს მიეკუთვნოს: ქ. გორი, დაბა სურამი, ქ. ხაშური, ქ. თელავი, ქ. სიღნაღი, აფხაზეთი (სოხუმის ოლქი) და მაზრები: ბორჩალოსა, დუშეთისა, ბორჩალოსი, ზუგდიდისა, ოზურგეთისა, სენაკისა, ქუთაისისა, თიანეთისა, ტფილისისა და სამხრეთ ოსეთი.

მეოთხე ზოლს მიეკუთვნის: მაზრები—ახალციხისა, გორისა, სიღნაღისა, თელავისა და ახალქალაქისა.

2. დაწესებულ იქნეს იმ სახელმწიფო დაწესებულებათათვის და წარმოებათათვის, რომელნიც სახელმწიფო მომარაგებაზე არიან, შემდეგი მინიმალური, სატარიფო განაკვეთი 17 ხარისხოვან სატარიფო ცხრილის ყველა ხარისხის მომუშავისათვის დაწესებულ ზოლის მიხედვით:

ხარიხი	ზოლი პირველი 100 პროც.	ზოლი მეორე 90 პროც.	ზოლი მესამე 80 პროც.	ზოლი მეოთხე 70 პროც.
1	930.000	835.000	745.000	650.000
2	1.040.000	936.000	832.000	728.000
3	1.155.000	1.040.000	924.000	810.000
4	1.265.000	1.140.000	1.010.000	885.000
5	1.375.000	1.240.000	1.100.000	960.000
6	1.490.000	1.340.000	1.190.000	1.045.000
7	1.600.000	1.440.000	1.280.000	1.120.000
8	1.710.000	1.540.000	1.370.000	1.200.000
9	1.860.000	1.670.000	1.490.000	1.300.000
10	2.090.000	1.880.000	1.670.000	1.460.000
11	2.270.000	2.040.000	1.820.000	1.590.000
12	2.510.000	2.260.000	2.010.000	1.760.000
13	2.680.000	2.410.000	2.145.000	1.870.000
14	2.920.000	2.630.000	2.335.000	2.045.000
15	3.160.000	2.845.000	2.530.000	2.210.000
16	3.405.000	3.065.000	2.725.000	2.385.000
17	3.720.000	3.340.000	2.980.000	2.600.000

შენიშვნა 1: მე 2-ე პუნქტში აღნიშნული სატარიფო ცხრილის განაკვეთში შედის სამუშაო გასამრჯელო, როგორც ფულადი, აგრეთვე სასურსათო ნაწილიც.

შენიშვნა 2: იმავე მე 2-ე პუნქტში განსაზღვრულ სატარიფო განაკვეთში შედის აგრეთვე გასამრჯელო კომუნალური დახმარებისათვის.

3. ამა დადგენილებით დაწესებული მინიმუმი სამუშაო გასამრჯელოსი სავალდებულოა, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო წარმოება-დაწესებულებათათვის გამოუნაკლისად, რომლის ნაკლებ არც ერთ სახელმწიფო ან კერძო დაწესებულება წარმოებას უფლება არა აქვს სამუშაო გასამრჯელო აძლიოს.

შენიშვნა: ზემოაღნიშნული სამუშაო გასამრჯელოს ნორმის გადიდება შესაძლებელია, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო დაწესებულება—წარმოებაში სათანადო პროფესიონალურ კავშირების მიერ კოლექტიური ხელშეკრულების დადებით.

4. დადგენილება ესე შედის ძალაში 1922 წ. სექტემბრის 1-დან.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ს. ქავთარაძე.

შრომის სახალხო კომისარი **ა. იაშვილი.**

სახალხო კომისართა საბჭოს
მდივანი **ალ. სალარიძე.**

1922 წ. სექტემბრის 10.
ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 52.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომისართა საბჭოსი.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონურ კომიტეტის დადგენილების 1922 წ. თებერვლის 3 თარიღითა და 136 ნომრით გაუქმების შესახებ.

1. საქ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონურ კომიტეტის დადგენილება 1922 წ. თებერვლის 3 თარიღითა და 136 ნომრითა სახალხო ბანკის წესდების შეცვლის და დამატების შესახებ გაუქმებულ იქნეს.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი მიღებისა.

საქ. სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ს. ქავთარაძე.

ფინანსთა სახალხო კომისარი ა. სვანიძე.

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი ალ. სალარიძე.

15 სექტემბერს 1922 წ.
ქ. ტფილისი—სასახლე.

შინ. საქმ. სახ. კომის.

გრძანება № 44.

ს. ს. ს. რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატ.

§ 1.

რეგისტრაცია იმპერიალისტურ ომის დროს გადმოხვეწილ პოლონელ, ლიტველ და ლატვიელ ლტოლვილებისა დამთავრდეს ამა 1922 წ. სექტემბრის 10 მდე.

§ 2.

საქართველოს ცენტროევაკის მიერ სამშობლოში დასაბრუნებლად აღრიცხულმა ლტოლვილებმა თავისი სურვილი სამშობლოში დაბრუნების შესახებ უნდა განაცხადონ არა უგვიანეს მიმდინარე წლის 25 სექტემბერისა.

§ 3.

წინა მუხლში აღნიშნულ განცხადებათა თანახმად სდგება სამშობლოში გასაგზავნ ლტოლვილთა უკანასკნელი სია.

§ 4.

ის ლტოლვილები, რომლებიც ზემოაღნიშნულ ვადამდე არ განაცხადებენ თავიანთ სურვილს სამშობლოში დაბრუნების შესახებ, ჰკარგავენ ხაზინის ხარჯზე გაგზავნის უფლებას.

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ა. გეგეჭკორი.

საქმეთა მმართველი დ. ჩიქოვანი

საქართველოს ცენტროევაკის გამგე კაკაბაძე.

1 სექტემბერი 1922 წ.

გრძანება

19 სექტემბერი 1922 წ.

№ 394.

აჭარისტანის ავტონომიური საბ. სოც. რესპუბლიკის მილიციის უფროსი ამხ. სურგულაძისადმი მადლობის გამოცხადების შესახებ.

ა. წ. სექტემბრის პირველ რიცხვებში, ვიყავი დასავლეთ საქართველოში და კერძოთ აჭარისტანში, სადაც ადგილობრივ გავცანი ადმინისტრაციის მუშაობას და განსაკუთრებითი ყურადღება მიიპყრო მილიციამ, რომლის სათავეში სდგას ამხ. სურგულაძე იმ წესრიგისა, თავდარიგიანობისა, დისციპლინისა და სახურისადმი შეგნებული დამოკიდებულებისათვის, რომელიც არსებობს მილიციაში, ვუცხადებ მადლობას მილიციის მთელ შემადგენლობას და მის სამაგალითო უფროსს ამხ. სურგულაძეს თავდადებული, დაუღალავი და მუშა და გლეხთა მთავრობის ინტერესების და პრესტიჟის თავგამოდებული სამსახურისათვ ს, მადლობასთან ერთად, მილიციის განკარგულებაში არსებულ, განსაკუთრებული თანხიდან ამხ. სურგულაძეს ერთდროულ ჯილდოთ უნიშნავ ათ მილიონ მანეთს.

ეს ბრძანება გამოცხადდეს გაზეთებში ოფიციალურად.

შინ. საქ. სახ. კომისარი **გეგეჭკორი**.

დადგენილება.

ს. ს. ს. რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის.

19 სექტემბერი 1922 წელი.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი იღებს რა მხედველობაში მის განკარგულებაში არსებულ ცნობებს, რომ მსახიობები: ბიქტორი პეტიპა, ბორისი პლეტნიოვი, მიხეილ მორდკინი, ივანე ლინევიჩი, მაჭავარიანი, ფედოტოვი, ნიკოლსკი და ბორის პროზოროვსკი ცხადათ ეწევიან გარყვნილ ცხოვრებას, რომელიც მოქმედობს გამღრწნელად საზოგადოებრივ ზნეობაზე, ადგენს: გაძევებულ იქნან აღნიშნულ პირნი საქ. სოც. საბჭოთა რესპუბლიკის ფარგლებიდან; ამასთანავე წინადადება მიეცეს თბილისის ქალაქის მილიციის

უფროსს მოიყვანოს სისრულეში ეს დადგენილება 24 საათის განმავლობაში, გაძევებულ პირთათვის გამოცხადების მომენტიდან.

შინაგან საქმეთა სახალხო
კომისარი ა. **გეგეჭკორი.**

დ ე ბ უ ლ ე ბ ა.

რესპუბლიკის პოლიტ-სეკრეტარიატისა.

1. ს. ს. ს. რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში, სამილიციო განყოფილებასთან არსდება რესპუბლიკის პოლიტ სეკრეტარიატი, სადაც თავს იყრის საიდუმლო მიმოწერა პოლიტიკური ხასიათისა.

2. რესპუბლიკის პოლიტ-სეკრეტარიატის უფროსად ინიშნება ს. კ. პარტიის პასუხისმგებელი წევრი, რომელიც უშუალოდ ემორჩილება შინ. საქ. კომისარს და პასუხისმგებელია ს. კ. პ. ც. კ. წინაშე და ყოველივე თავის მოღვაწეობის ანგარიშს ურდგენს მას.

რესპუბლიკის პოლიტ-სეკრეტარიატის მოვალეობას შეადგენს:

1. აღრიცხვა-განწესრიგება მილიციის საკომანდო შედგენილობის კომუნისტ ამხანაგების, რომლებიც მუშაობენ რესპუბლიკის მაზრა-ქალაქის და წყლის მილიციაში.

2. აღრიცხვა ყველა კომუნისტის რესპუბლიკის მილიციაში და მათი რიცხვის გადიდება, როგორც პარტწევრების, ახალი მასის მომზადებით, ისე ადგილობრივი კომუნისტების საშუალებით ახალი პარტიული ძალების გაძლიერებით მილიციაში.

3. იდეური და ორგანიზაციული ხელმძღვანელობა რესპუბლიკის მილიციაში, როგორც პარტიულ ამხანაგების, ისე მილიციელთა, მაზრების, ქალაქების და წყლის პოლიც-სეკრეტარიატების საშუალებით.

4. რესპუბლიკის პოლიტ-სეკრეტარიატი იქერს მჭიდრო კავშირს როგორც ს. კ. პ. ც. კ. საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილებასთან, ისე მთავარ პოლიტიკურ განმანაწილებელ ორგანოსთან და ღებულობს მათგან შესაფერ სახელმძღვანელო მასალას, რესპუბლიკის მილიციის პოლიტიკურად აღსაზრდელად.

5. რესპუბლიკის მილიციის პ. ს. რესპუბლიკის მაზრა-ქალაქების და წყლის მილიციის პოლიტ-სეკრეტარიატის საშუალებით თვალყურს ადევნებს, როგორც მილიციაში, ისე საზოგადოებრივ მასაში პოლიტიკურ განწყობილებას და თუ სადმე ექმნება ადგილი რევოლიუციონურ წესრიგის დარღვევას და ხსენებულ ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული გამოსვლის ნაბიჯებს, მთელი თავის ძალას იყენებს მის მოსასპობად და წეს-რიგის აღსადგენად.

6. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი თავის ქვემდებარე ორგანოებთან აწარმოებს მიმოწერას შიფრის საშუალებით, რომელიც ინახება რესპუბლიკის პოლიტ-სეკრეტარიატში.

7. ამ დებულების გამოქვეყნებიდან, უქმდება ყველა, დღემდე ამავე საკითხის შესახებ არსებული დებულება (იხ. „მოამბე“ № 12)

შინაგან საქმეთა სახ. კომისარი ს. **გეგეჭკორი.**

პოლიტ-სეკრეტარიატის უფროსი ი. **ოკიძე.**

გ რ ძ ა ნ ე ბ ა № 65.

ს. ს. ს. რესპუბლიკის მილიციისადმი.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში მიღებულ იქმნა ცნობები იმის შესახებ, რომ თბილისის მაზრის მილიციაში ადგილი აქვს სხვა და სხვა ბოროტ-მოქმედებას, ამის გამო წარმოებულ რევიზიის საშუალებით გამოირკვა, რომ აღნიშნულ მაზრის ზოგიერთ თანამშრომლების მოქმედებას აქვს სამსახურებრივი დანაშაულობის ხასიათი. ამიტომ ვბრძანებ:

1. მაზრის მილიციის რაიონის ყოფილი უფროსი და აწ ჭი თემის აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. თენიაშვილი, თანახმად კომუნისტური პარტიის საკონტროლო კომისიის დადგენილებისა 6 სექტემბრიდან № 877 მოხსნილ იქნას თანამდებობიდან და მივლინებულნი თბილისის მაზრის აღმასკომის განკარგულებაში არა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დასანიშნავად, საქმის დამთავრებამდე.

2. თბილისის მაზრის მილიციის უფროსის მოადგილე მოქ. დანელია, აღბულაღის (თეთრი წყაროს) რაიონის მილიციის უფროსი აქტენტი ქაჯაია, ყარაიაზის რაიონის მილიციის უფროსი გოცირიძე და მილიციელი ბაქრაძე—დათხოვნილ იქნან სამსახურიდან.

ამ ბრძანების 1 და 2 მუხლში მოხსენებული თანამდებობის პირთა შესახებ საქმე გადაეცეს აღმოსავლეთის რევტრიბუნალს ბრძანების ასლის თანდართვით.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის
დრ. მოადგილე **ი. იობიძე.**

სამილიციო განყოფილების
უფროსი **გ. ქავთარაძე.**

1922 წ. 11 სექტემბერი.

ცირკულიარული.

ყველა მაზრისა და ავტონომიური ერთეულების აღმასკომებს.

აგრარულ რეფორმების მომუშავეთა დახმარების შესახებ.

საქართველოს მიწად-მოქმედების კომისარიატი მომართვით № 5691 22 აგვ. 1922 წ. თარიღით გატყობინებს, რომ საჭიროა აგრარული რეფორმის ჩასატარებლად დახმარება მომუშავე მიწის მზომელებისათვის და სხვა ტეხნიკურ პერსონალისათვის ბინის, საქმელ-სასმელის და სატრანსპორტო საშვალების შოვნაში. შ. ს. ს. კომისარიატი იღებს რა მხედველობაში ასეთი დახმარების მნიშვნელობას რეფორმების ჯეროვანად ჩატარებისათვის, კატეგორიულ წინადადებას აძლევს ყველა მის ხელქვეით ორგანოებს აღმოუჩინონ კანონიერ ფარგლებში ყოველგვარი დახმარება აგრარული რეფორმების ჩაატარების დროს მომუშავე პერსონალს, როგორც ბინის და სურსათ-სანოვაგის შოვნაში, ისე სატრანსპორტო საშვალების მიწოდებით.

შინ. საქ. სახ. კომისარი **ა. გეგეჭკორი.**

საქმეთა მმართველი **დ. ჩიქოვანი.**

საინფორ. საინსტ. განყ.
გამგე **გ. ანდრიაძე.**

ფინანსთა სახალხო კომ.

განკარგულება.

ფინანსთა სახალხო კომისარისა 1922 საგადასახადო წლისათვის სახელმწიფო საშემოსავალო გადასახადით გადამხდელთა დაბეგვრის შესახებ.

თანახმად 1921 წლის 26 ივლისის დეკრეტის № 61-მე 3 ნაწილისა 1921 საგადასახადო წლისათვის გადამხდელთა სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისათვის, ფინანსთა სახალხო კომისარი ადგენს შემდეგ წესრიგს და ვადებს:

1) რესპუბლიკის ქალაქებში და ქალაქის მიდამოებში სახლის პატრონები, მოურავები—მოიჯარადრენი (მათ შორის მცხოვრებთა კოლექტივებიც) და აგრეთვე საბჭოთა სახლების კომენდანტები, ხოლო სოფლებში ხელის უფლებათა აღმასრულებელი ორგანოები, ვალდებულნი არიან არა უგვიანეს მიმდინარე წლის 1 ოქტომბრისა წარადგინონ სათანადო საგადასახადო განყოფილებებში დაწესებული ფორმით სია იმ პირთა, რომლებთაც აქვთ დამოუკიდებელი შემოსავალი.

2) ყველა საბჭოთა, საზოგადო და კერძო დაწესებულებანი და აგრეთვე კერძო პირნიც, ვალდებულნი არიან არა უგვიანეს მიმდინარე წლის 1 ოქტომბრისა წარადგინონ № 21 ფორმით სათანადო საგადასახადო განყოფილებაში მუშა-მოსამსახურის ბინადრობის მიხედვით ყოველივე ცნობები მუშა-მოსამსახურისაგან მიღებულ ჯილდოს 1921 წლის განმავლობაში როგორც ფული აგრეთვე ნატურით (ულუფით).

3) ამ განკარგულების 1 მუხლის დაღვევისათვის დამნაშავენი დაჯარიმებულნი იქნებიან არა უმეტეს 5 მილიონი მანეთისა რაიონის საგადასახადო განყოფილების გამგის განკარგულებით. აღნიშნული ჯარიმა გადახდებათ დამნაშავეთ ადმინისტრატიული წესით იმ პირთ, რომლებთაც დადებათ ჯარიმა უფლება აქვთ განასაჩივრონ ასეთი ფინანსთა სახალხო კომისარიატის პირდაპირ გადასახადთა განყოფილებაში ორი კვირის განმავლობაში დღიდან რაიონის საგადასახადო განყოფილების გამგის დადგენილების გამოცხადებისა ხელწერილ ქვეშ. საჩივრის შეტანა არ აფერხებს დადებულ ჯარიმის გადახდევინებას.

4) ყველა ის პირნი, (ფიზიკური და იური დიული) მათ შორის ანგარიშ ვალდებულნი დაწესებულებანი, კოოპერატივები და სხვ.), რომლებმაც

1921 წელში მიიღეს შემოსავალი ყოველივე წყაროდან 9 მილიონ მანეთზე მეტი, ვალდებულნი არიან შეიტანონ განცხადებანი) დეკლარაციები) თავიანთ შემოსავლის შესახებ № 8 ფორმით არა უგვიანეს მიმდინარე წლის 15 ოქტომბრისა სათანადო საგადასახადო განყოფილებაში საცხოვრებელი ბინის ადგილმდებარეობის მიხედვით.

5) ამ დადგენილების მე 4 მუხლის დარღვევისათვის დამნაშავენი დაისჯებიან დეკრეტის 61 მე 2 ნაწილის 7 და 8 პუნ. მიხედვით.

6) გადამხდელთა საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრა უნდა დამთავრდეს და ხარჯის ფურცლებიც დაიგზავნოს მილიციის საშუალებით არა უგვიანეს მიმდინარე წლის 1 დეკემბრისა, ის გადამხდელნი, რომლებიც თავის დროზე ვერ მიიღებენ ხარჯის ფურცლებს რაიონის საგადასახადო განყოფილებიდან დამოკიდებულ მიზეზებით, თვითონვე უნდა მივიდენ საგადასახადო განყოფილებაში და გამოარკვიონ თავიანთი დაბეგვრის საქმე.

7) საშემოსავლო გადასახადით უსამართლოდ დაბეგვრისათვის გადამხდელთ უფლება აქვთ შეიტანონ საპასუხო რაიონის საგადასახადო საკრებულოში არა უგვიანეს მიმდინარე წლის 15 დეკემბრისათვის.

8) აღრიცხული გადასახადი უნდა იქნეს შეტანილი ხაზინაში არა უგვიანეს მიმდინარე წლის 31 დეკემბერს.

9) შეტანილ საპასუხოზე გამოტანილი რაიონის საგადასახადო საკრებულოს დადგენილების გასაჩივრება შეიძლება იმავე საკრებულოს საშუალებით ფინანსთა კომისარიატთან არსებულ განსაკუთრებულ სახარკო თათბირში ერთი თვის განმავლობაში დღიდან დადგენილების მიღებისა ხელწერილ ქვეშ.

ფინანსთა სახალხო კომისარის
მოადგილე **ბ. ბიბინეიშვილი.**

პირდაპირ გადასახადთა განყ.
გამგე **ბეზირგანიშვილი.**

24 აგვისტო 1922 წ.

ამიერ-კავკასიის საბჭოთა სოც. რესპუბლიკების ფედერაციის ფინანსთა სახალხო კომისარიატისაგან.

1922 წ. 28 ივნისს საბჭოთა რუსეთის სახალხო კომისართა საბჭომ, ერთნაირი ფულის ტრიალის დაწესებას და ურთიერთ შორის ანგარიშების გასაადვილებლად გამოსცა დადგენილება 1922 წლამდე გამოშვებულ ყველა ფულის ნიშნების ხმარებიდან გამორიცხვისა და მათი 1922 წლის ფულის ნიშნებით შეცვლის შესახებ.

ამის გამო ამიერ-კავკასიის საბჭ. სოც. რესპუბლიკების ფედერაციის ფინანსთა სახ. კომისარიატი ზემო-აღნიშნულ დადგენილებასთან შესაბამებლად, აცხადებს:

1) რუსეთის საკრედიტო ბილეთები 1918 წლის ნიმუშისა, 1919, 1920, 1921 წლების ყველა ფულის ნიშნები და 1922 წელს გამოშვებული მოკლე ვადიანი საპროცენტო 5.000 მანეთიანი ვალდებულებანი გამოიცვლება საქართველოს სახალხო ბანკის დაწესებულებებში 1922 წლის ნიმუშის რუსეთის ფულის ნიშნებზე მხოლოდ 1922 წლის 1 ოქტომბრამდე.

2) საბჭოთა რუსეთის 1922 წ. ვალდებულებაში (1,5 და 10 მილიონ. მან.) და აგრეთვე ფულის ნიშნები 50,000 და 100,000 მან. მიიღება 1922 წლის ნიშნებზე გამოსაცვლელად მხოლოდ 1923 წლის 1 იანვრამდე.

3) აღნიშნულ ვადის გასვლის შემდეგ ყველა ჩამოთვლილი ფულის ნიშნები და ვალდებულებანი მთავრობის კასაში გამოსაცვლელად აღარ მიიღებიან და დაჰკარგავენ ფულის მნიშვნელობას.

4) ამიტომ მცხოვრებლებმა უნდა იზრუნონ თავის დროზე გამოსცვალონ 1922 წლამდე გამოშვებული ფულის ნიშნები 1 და 2 მუხლში აღნიშნულ ვადის გასვლამდე.

5) ძველი ფულის ნიშნების გამოცვლა მოხდება შემდეგ პირობებში: 10,000 მან. ძველი ფულის ნიშნებით უდრის 1922 წლის ნიმუშის 1 მანეთს.

6. საქართველოს სახალხო ბანკის დაწესებულებებში და ხაზინებში გამოცვლა მოხდება სასწრაფოდ და დაუბრკოლებლივ, რა მიზნითაც იმათ განკარგულებაში იმყოფება 1922 წლის ნიმუშის ფულის ნიშნების საჭირო მარაგი.

1922 წლის ნიმუშის ფულის ნიშნები ხმარებაში იქნება შემოღებული ანგარიშების გასაადვილებლათ და ყალბი ნიშნების დამზადების თავიდან ასაცილებლად.

ამიერ-კავკასიის საბჭ. სოც. რესპუბლიკების ფედერაციის ფინანსთა სახ. კომისარის მოადგილე—
ს. იზმაილოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომის სახ. კომისარიატი.

ცირკულიარულად

ყველა სახელმწიფო, კომუნალურ, კერძო წარმოებებს და დაწესებულებებს და აგრეთვე ყველაიმ პირთ, ვინც სარგებლობს დაქირავებულ შრომით.

დადგენილება.

შრომის სახალხო კომისარიატის შრომის დაცვის განყოფილებისა.

1. საკავშირო საბჭოს 3 ივნისის 22 წ. დეკრეტის № 5 თანახმათ ყველა დამქირავებელს წინადადება ეძლევა არა უგვიანეს ამა წლ-ს 7 სექტემბრისა ქ. თფილისში და არა უგვიანეს 20 სექტემბრისა პროვინციაში შეიძინონ თავის მუშებისთვის და მოსამსახურეებისთვის ახალი სახის საანგარიშო წიგნაკები, გამოცემული შრომის სახალხო კომისარიატის შრომის დაცვის განყოფილების მიერ. წიგნაკების შეძენა სავალდებულოა ყველასათვის: სახელმწიფო, კომუნალურ, კოოპერატიულ, კერძო, საკონცესიო და სხვ. წარმოებათა და დაწესებულებათა ადმინისტრაციის მიერ და აგრეთვე იმ პირთათვის, ვინც სარგებლობს დაქირავებულ შრომით თავის საჭიროებისათვის (ხელზე მოსამსახურენი, მეეტლე, მეეზოვე და სხვ).

2. აღნიშნული საანგარიშო წიგნაკები უნდა შეიძინონ დამქირავებლებმა თავისი ხარჯით და უფასოთ ურიგდება დაქირავებულთ (მუშებს, მოსამსახურეებს) ამიერ-კავკასიის საკავშირო საბჭოს დეკრეტ. № 51 მუხლის თანახმათ.

3. ამ დადგენილების 1 მუხლში აღნიშნულ ვადაში საანგარიშო წიგნაკის შეუძენლობისათვის და დაქირავებულთა დაურიგებლობისათვის, დამნაშავენი მიცემულ იქმნებიან პასუხისგებაში როგორც შრომის დაცვის კანონების დამრღვევნი.

4. ამ დადგენილების გამოქვეყნების შემდეგ ძველი საანგარიშო წიგნაკები და აგრეთვე ის წიგნაკები, რომელიც შემოდებულ აქვთ ზოგიერთ წარმოებებს და დაწესებულებებს, ითვლებიან გაუქმებულათ და უნდა შეიცვალონ ახალი სახის წიგნაკებით.

შრომის დაცვის განყოფილების
გამგე **ს. გოდაბრელიძე.**

30 აგვისტო 1922 წ.

დადგენილება № 21

შრომის სახალხო კომისარიატისა:

სრულიად საქართველოს საჭოთა ც. ა. კ. პრეზიდიუმის დადგენილების აღსასრულებლად („ჩრავდა გრუზიი"-ს 4 ივლ. 22 წ. № 375).

შრომის სახალხო კომისარიატმა დაადგინა:

1) იმ მიზნით, რომ სახელმწიფომ თვალყური ადევნოს და გაუწიოს კანტროლი ყველა ურთიერთ დამხმარე საზოგადო ორგანიზაციებს, რომელნიც მოქმედობენ რესპუბლიკის ტერიტორიაზე და მათ მოქმედებაში შესაძლებელი მთლიანობა იქნას შეტანილი წინადადება მიეცეს ყველა ასეთ საორგანიზაციოთ განმზადილ საზოგადოებებს გატარდენ ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატის რეგისტრაციაში.

2) ყველა უკვე არსებული საურთი ერთო დამხმარე საზოგადოებანი ვალდებული არიან ორი კვირის განმავლობაში ამ დადგენილების გამოქვეყნების შემდეგ წარმოადგინონ შრომის სახალხო კომისარიატში საზოგადოების წესდებანი, მისამართი და კომიტეტის ან საზოგადოების გამგეობის პირადი შემადგენლობა და მათი პრეზიდიუმის მისამართი.

შენიშვნა: ურთიერთ დამხმარე კასები, რომლებიც ექვემდებარება პროფკავშირის საბჭოს შ. ს. კ. რეგისტრაცია არ შეეხებათ.

3) ამ დადგენილების შესრულებლობისათვის საზოგადოების დამაარსებელნი, კომიტეტის, პრეზიდიუმ ს ან მისი გამგეების სახით—მიცემულ იქნებიან პასუხისგებაში.

შრომის სახალხო კომისრის მოადგილე **ა. მიქაძე.**

ლარ. სახელ. დამხ. განყოფ. გამგე
ატაბეკოვი ტუმანი.

სექტემბერი 1922 წ.

სახ. განათ. კომისარიატი.

დებულება.

ს. ს. ს. რ. სახ. განათ. კომისარიატის. 1922—23 სამოსწავლო წელში მუშათა ფაკულტეტებზე სტუდენტთა მიღების პირობის და წესის შესახებ.

1. მუშათა ფაკულტეტზე მიიღებიან: მუშები, რომელთაც სხვა და სხვა საწარმოო დაწესებულე-

ბებში პირადი ფიზიკური შრომით უმუშავნიათ არა ნაკლებ ორი წლისა, მიწის მუშანი, რომელთაც არ უსარგებლიათ სხვისი, ნაქირავები შრომით და ორი ან მეტი წლების განმავლობაში ფიზიკურად უმუშავნიათ მეურნეობაში, როგორც ძირითად პროფესიაში, ხოლო არა ფიზიკურ შრომის მწევ პირთაგან მიიღებიან: მხოლოდ კომუნისტურ პარტიის წევრნი, რომელთაც აქვთ ორწლიური პარტიული სტაჟი და ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირის წევრნი, რომელნიც ამ ორგანიზაციაში ირიცხებიან არა ნაკლებ 3 წლისა.

შენიშვნა: კომუნისტურ პარტიის იმ წევრთ, რომლებიც პარტიაში ჩარიცხვამდე ითვლებიან ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირში, მათი პარტიული სტაჟის რაოდენობის გამოარკვევის დროს, ჩაეთვლებათ ის დროც, რომელიც მათ კავშირის ორგანიზაციებში გაუტარებიათ.

შენიშვნა 2: წითელარმიელნი მუშათა ფაკულტეტებზე მიიღებიან საერთო დებულებათა მიხედვით, ე. ი. კლასობრივი ან პარტიული მიმართულების მიხედვით, პირველი მუხლის მხედველობაში მიღებით.

2. მისაღებთა ჰასაკი განისაზღვრება არა ნაკლებ 18 წლისა, გამონაკლისის დაშვება შეუძლებელია.

3. განათლების ცენზის მხრივ მისაღებ სტუდენტს მოეთხოვება წერა-კითხვის თავისუფლად ცოდნა იმ ენაზე, რომელზედაც სწარმოებს სწავლა ამა თუ იმ ფაკულტეტზე, აგრეთვე ცოდნა ანგარიშის პირველი ოთხი მოქმედებისა.

4. მუშათა ფაკულტეტის ყველა ადგილების 80 პროცენტი დაეთმობა პროფკავშირებს, ხოლო დანარჩენი 20 პროცენტი კომუნისტურ პარტიას, ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირს.

5. მუშათა ფაკულტეტის სექტორი მუშათა პროფკავშირისა, კომუნისტურ პარტიისა და სხვა პარტიულ ორგანიზაციებთან შეთანხმებით ანაწილებს მუშათა ფაკულტეტების ყველა ადგილებს და აცნობებს შედეგს მუშათა ფაკულტეტების პრეზიდიუმს.

შენიშვნა: უკეთუ აღნიშნულ განაწილების შემდეგ ყველა ვაკანსიები არ იქნება შევსებული, მიღების ვადის 10 დღის შემდეგ მუშათა ფაკულტეტის პრეზიდიუმს კურსის კომიტეტთან ერთად ნებართვა ეძლევა შეავსოს ცარიელი ვაკანსიები ისეთი კანდიდატებით, რომელნიც აკმაყოფილებენ ფაკულტეტზე მიღების პირობებს.

6. მიღება და დაშკება შესამოწმებელ გამოცდებზე მუშათა ფაკულტეტებზე ხდება ტფილისში მთლიანი სამანდატო კომისიის მიერ, რომელშიაც შედიან: მუშათა ფაკულტეტის სექტორის წარმომადგენელი — ერთი (თავმჯდომარე), ორი მუშათა პროფკავშირის, ერთი კომუნისტურ პარტიის და ერთი ახალგაზრდა კომუნისტურ კავშირიდან.

7. ამ კომისიის დადგენილებანი საბოლოოა და მათი გასაჩივრება შეუძლებელია. იგი უფლება მოსილია უარჰყოს ესა თუ ის მანდატი და არ მიიღოს შეუფერებელი კანდიდატი.

8. ზემოაღნიშნულ კომისიების გარეშე სტუდენტთა მიღება მუშათა ფაკულტეტზე დაუშვებელია.

9. კომისია იკრიბება მუშათა ფაკულტეტებზე სტუდენტთა მიღების წინადღეებში, ხოლო სამოსწავლო წლის განმავლობაში მაშინ, როდესაც ფაკულტეტზე არა ნაკლებ 10 ცარიელი ვაკანსიისა იქნება,

10. გარდა სამხედრო ბეგარის მოხდის შესახებ საბუთებისა, ფაკულტეტზე შესვლის მსურველს უნდა ჰქონდეს მომავლინებულ ორგანიზაციის მოწმობა სახელის, მამის სახელის, გვარის, წლოვანობის, პარტიისა და ორგანიზაციებში ფიზიკური შრომის ან მუშაობის აღნიშვნით, აგრეთვე იმ ადგილის ნორმის აღნიშვნით, რომელიც დათმობილი აქვს ორგანიზაციას და დასახელებით იმ მუშათა ფაკულტეტისა, რომელზედაც მივლინებულია მსურველი ორგანიზაციის მიერ.

ს. ს. ს. რ. განათლების სახალხო
კომისარი **დ. კანდელაკი**.

მუშათა ფაკულტეტის სექტორის
გამგე **ს. გძელიშვილი**.

ს. პროფ. საბჭოს კულტ-განყოფილების
გამგე **გ. ყურულაშვილი**.

1922 წ. 5 ენკენისთვე.
ქ. ტფილისი.

განათლების მუშაკთა კავშირის და განათლების სახალხო კომისარიატის და მათი ორგანოების ადგილებზე ურთიერთ შორის დამოკიდებულება.

ურთიერთ დამოკიდებულების საფუძვლად აღებულია სრ. რუსეთის პროფკავშირთა საბჭოს ცირ-

კულიარი ყველა პროფკავშირების მიმართ, რომელიც ეხება ამათ სამეურნეო ორგანოებთან დამოკიდებულებას.

კონტაქტი განათლების კომისარიატის და ადგილობრივ განათლების განყოფილებათა კავშირებს შორის ხორციელდება შემდეგის სახით:

კავშირი: ა) გზავნის წარმომადგენელს სახალხო კომისარიატთან არსებულ თათბირში ყოფ. კოლეგიაში და განათლების განყოფილებაში.

ბ) იღებს მონაწილეობას განათლების კომისარიატის და განათლების განყოფილების ხელმძღვანელ ორგანოების და სხვა დაწესებულებების ადმინისტრატიულ და სხვა თანამდებობის პირის დანიშვნაში (ასახელებს თავის კანდიდატს და საერთოდ მსჯელობს კომისარიატის და განათლების განყოფილების მიერ წამოყენებულ კანდიდატებზე).

იღებს მონაწილეობას განათლების კომისარიატთან და განათლების განყოფილებასთან არსებულ მუდმივ თუ დროებით მოწვეულ კომისიების მუშაობაში, მაგ. საგეგმო, საპროგრამო, მეთოდიური და სხვა სპეციალურ კომისიებში.

გ) იღებს მონაწილეობას განათლების მუშაკთა შრომის ჯილდოს დასაფარავად თანხის გაღებაში და უკანასკნელის განაწილებაში, როგორც განათლების კომისარიატში, ისე განათლების განყოფილებებში.

დ) ისმენს პერიოდიულად განათ. კომისარიატის, განათლების განყოფილების და სახელმძღვანელ კომიტეტების მოხსენებას მათ მუშაობაზე.

ე) ანგარიშობს უშუალო მეთვალყურეობას და კონტროლს სახალხო განათლების კომისარიატის და განათლების განყოფილების მიერ დასახულ გეგმების და პროგრამის ცხოვრებაში გატარების საქმეში ამასთანავე არ არღვევს გამოსაკვლევ დაწესებულებათა ყოველდღიურ მუშაობის მსჯელობას.

სახალხო განათლ. კომის. **დ. კანდელაკი.**

კავშირის პასუხისმგებელი მდივანი

შალვა გეგენავა.

1 სექტემბერი, 1922 წ.

დეგულეგა

ს. ს. ს. რ. სახალხო განათლების კომისარიატისა.

ებრაელების სკოლებში ენის სწავლის შემოღების შესახებ.

1. ვინაიდან ევროპიელ ებრაელების მშრომელ მასსის სალაპარაკო ენას შეადგენს „იდში“, რ. ს. ს. ფ. რ. დეკრეტთან შეფარდებით ჩაითვალოს იგი სავალდებულოთ და შემოღებულ იქნეს ყველა ევროპიულ ებრაელების შვილისათვის „იდიშ“-ზე სწავლა.

2. „იდიშ“ ის მაგიერ სწავლა შეიძლება წარმოებდეს რუსულ ენაზე, ხოლო „იდიში“ სასწავლო საგანთა შორის უნდა ჩაითვალოს, როგორც სავალდებულო საგანი.

3. სასწავლო დროის მეექვსე წლიდან ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს ნებართვით ხდება ძველ ებრაელების ენის შესწავლა ყოველ განსაკუთრებულ შემთხვევაში მხოლოდ მოზრდილთათვის.

4. ქართველ ებრაელებისათვის სწავლა უნდა სწარმოებდეს ქართულ ენაზე, შესასწავლებელ საგანთა შორის სავალდებულოთ უნდა ჩაითვალოს ძველი ებრაელური და მისი შემოღება უნდა გახდეს შესაძლებლათ.

5. ებრაელურ სკოლებში მოწაფეთა შერეულ შემადგენლობით ევროპიელ ებრაელების ბავშვებისათვის სწარმოებს „იდიშ“-ის სწავლება, და ქართველ ებრაელების ბავშვთათვის-კი ძველი ებრაელურ ენის.

ს. ს. ს. რ. სახალხო განათლების
კომისარი **დ. კანდელაკი.**

საქმეთა მმართველი **ა. მიქაბერიძე.**

სახ. მეურნ. უმაღლ. საბჭო.

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სავალდებულო დადგენილება № 15.

თანახმად სახალხო კომისართა საბჭოს № 3 დეკრეტის მე-5 მუხლისა ნავთის პროდუქტებით ვაჭრობის და მისი საქ. საბჭ. სოც. რესპუბლიკის სსზღვრებში შემოტანის სახელმწიფო მონოპოლიად გამოცხადების შესახებ, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო ამით ადგენს:

მეპატრონეები (სახელმწიფო დაწესებულებანი, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და კერძო პირები) იმ ნავთის პროდუქტებისა, რომელიც უნდა გატანილ იქნას საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებიდან საზღვარ-გარეთ რესპუბლიკის ნავთსადგურების საშუალებით, ვალდებულნი არიან 7 დღის ვადაში დღიდან ამ პროდუქტების გატანის ნებართვის მიღებისა, გაატარონ რეგისტრაციაში თბილისში—სახ. მეურნეობის უმაღლის საბჭოს

სათბობ მასალათა განყოფილებაში, ან ბათუმში აჭარის სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოში — გასატან ნავთის პროდუქტების ნამდვილი რაოდენობა და შეიტანონ წერილობითი ვალდებულება, რომ ისინი არ გაჰყიდიან და არც გადასცემენ ამ ნავთის პროდუქტებ სხვა რომელიმე პირს საქ. საბჭოთა სოც. რესპუბლიკის და აჭარის, აბხაზეთის და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკების ტერიტორიაზე.

ნავთის პროდუქტების მეპატრონეებს რომელთაც ამა სავალდებულო დადგენილების გამოცემის მომენტისათვის უკვე მიენიჭათ გატანის უფლება, ვალდებულნი არიან სისრულეში მოიყვანონ ამა დადგენილების მოთხოვნილებანი არა უგვიანეს ა. წ. 7 სექტემბრისა.

ყველა იმ დაწესებულებებს და კერძო პირებს, რომელნიც აღნიშნულ ვადისთვის არ შეასრულებენ ამ დადგენილების მოთხოვნილებას, ნავთის პროდუქტები კონფისკაციით ჩამოერთმევათ.

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ვ. ავაქოვი.**

სათბობ მასალათა განყოფილების გამგე **ბ. ბოჩკონი.**

საქმეთა მმართველი **დ. მესხი.**

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სავალდებულო დადგენილება № 16.

თანახმად სახალხო კომისართა საბჭოს № 3 დეკრეტის 25 მუხლისა, ნავთის პროდუქტებით ვაჭრობისა და მისი საქ. საბჭ. სოც. რესპუბლიკის საზღვრებში შემოტანის სახელმწიფო მონოპოლიად გამოცხადების შესახებ, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს № 3 სავალდებულო დადგენილების დამატებით, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო ადგენს:

ის პირნი, რომელნიც დაარღვევენ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სავალდებულო დადგენილების № 3-ს, გარდა იმ გადასახადის ზომისა, რომელიც ნაჩვენებია აღნიშნულ დადგენილების მე 5 მუხლში, დაჯარიმებულნი იქნებიან დანაშაულობის ხარისხის მიხედვით 25 მილიონი მანეთამდე.

სახ. მეურ. უმაღ. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ავაკოვი.**

სათბობ მასალათა განყოფილების გამგე **ბოჩკონი.**

სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოს საქმეთა მმართველი **დ. მესხი.**

განცხადებანი.

დაკარგა მეტრიკული მოწმობა, რომელიც მიღებული იყო ყოფილი სინოდალური კონტორიდან 1919 წელს № 258 მეტრიკა იყო **ნიკოლოზ ზაქრიას ძე ჩოჩელის** სახელობაზე. ეს მეტრიკა გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს

დაკარგა 1919 წელს, ყოფილ საქართველოს სინოდალური კანტორიდან მიღებული მეტრიკული მოწმობა № 2427. მოწმობა მიცემული იყო **ალექსანდრე ისაკის ძე ბერიკაციშვილის** სახელობაზე. იგი უნდა ჩაითვალოს გაუქმებულად ამის გამოცხადების დღიდან.

დაიკარგა პასპორტი, რომელიც გაცემული იყო მოქ. **გოარ გასპარის ასული პეტროსიანცის** სახელზე, ქ. ნუხაში. პასპორტი გაუქმებულად ითვლება. (2 – 1).

ახალციხის მაზრის I უბნის სახალხო მოსამართლე, რომლის კამერა იმყოფება ქალაქ ახალციხეში, იწვევს, მოქალაქე **ალექსანდრე გერასიმის ძე კუიუმჩიბაშევის** სიკვდილის შემდეგ დარჩენილ ქონებაზე კანონიერ მემკვიდრეებს, რათა უკანასკნელებმა ორ თვის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა განაცხადონ თავისი უფლებები ამ მემკვიდრეობაზე.

ახალციხის I უბნის სახალხო მოსამართლე **ი. ლვინიაშვილი.**

მდივანი **პ. აკოპიანცი.**

1922 წ. 11 სექტემბერი.

ქუთაისის უფროსის სახალხო ნოტარიუსი აცხადებს, რომ 17 აგვისტოს 1922 წ. დამტკიცდა 14 დეკემბერს 1921 წ. შესრულებული ნაყიდობა მიცემული **ალექსანდრე, იგივე ალექსი, ტიმოთის ძე ნოვიკოვის** და **მიხეილ ბიჭი ს ძე დარახველიძის** მიერ სილოვან ნესტორის ძე ილიაშვილზე ნაკვეთი მიწისა, მდებარე ქალაქ ქუთაისში, მეორე ალექსანდრეს ქუჩაზე შენობებით ზომით აღმოსავლეთით და დასავლეთით $12^1/_2$—$12^1/_2$ საჟ., სამხრეთით და ჩრდილოეთით 8—8 საჟ. (სიმტკიცის ბაჟი 280,000 მან. გადახდილია).

უფროსი სახალხო ნოტარიუსის მოადგილე **გრინიოვი.**

დაკარგა პასპორტი მიღებული ტფილისის მილიციის მე-9 კომისარიატის კანცელარიიდან ა. წ. 30 მაისს **ლიდია ვასილის ასულ პოპოვის** სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

რაჭის მაზრის ამბროლაურის უბნის, სახალხო მოსამართლე იწვევს 1920 წლის, 3 მაისს გარდაცვალებულ **პეტრე დემეტრეს ძის რატიანის** მემკვიდრეებს, რომ მათ კანონით დაწესებულ დროის განმავალობაში განაცხადონ თავიანთი უფლება გარდაცვალებულის ქონების მემკვიდრეობაზე.

სახალხო მოსამართლე **ი. წულუკიძე.**

მდივანი **ლომთაძე.**

დაკარგე პირადობის მოწმობა მიღებული შინაგან საქმეთა კომისარიატის კანცელარიიდან ა. წ. აგვისტოში **სოლომონ ხაჩიკის ძე ტატულიანის** სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დაკარგე სიმწიფის მოწმობა, მოცემული ტფილისის მე 7-დე ვაჟთა გიმნაზიის კანცელარიის მიერ 1919 წლ. № 37. **ლუარსაბ ისიდორეს ძე მაჭარაშვილის** სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

ქუთაისის უფროსი სახალხო ნოტარიუსი აცხადებს, რომ 15 აგვისტოს 1922 წ. დამტკიცდა 7 აგვისტოს 1922 წ. შესრულებული ნასყიდობა მიცემული **სიმონ ბეჟანის ძე რუხაძის მიერ სილოვან,** იგივე სოკრატ, ბესარიონის ძე მგალობლიშვილზე ნაკვეთი მიწა, მდებარე ქალაქ ქუთაისში, ივანოვის და მობაალეიშვილის, წინეთ მესამე ალექსანდროვის ქუჩაზე შენობებით. ზომით 228 კვ. საჟ ნი. 50.000,000 მანეთად. სიმტკიცის ბაჟი 2 000,000 მან. გადახდილია და შეტანილია ქუთ. ხაზინაში 14 აგვისტოს 1922 წ. № 6734.

უფროსი სახალხო ნოტარიუსის

მოადგილე **გრინიოვი.**

ქუთაისის უფროსი სახალხო ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1922 წ. 16 აგვისტოს დამტკიცდა ნასყიდობა, 15 ივლისს 1922 წ შესრულებული, მიცემული **კორნელი ლუკას ძე მაღრაძის მიერ — ივანე სიმონის ძე ბებიაშვილზე** ნაკვეთი სადუქნე მიწა შენობებით, ზომით: სიგრძით 10 საჟენი და სიგანით 14 არშინი, მდებარე ქ. ზესტაფონში, შორაპნის მაზრისა „სატუხიაში“ წინეთ-კი ზედა საქარის აგარაკში. ფასად 20.000,000 მან. სიმტკიცის ბაჟი 800,000 მან. გადახდილია. და შეტანილია ხაზინაში 15 აგვისტოს 1922 წ. № 6790 ქვეშე.

უფროსი სახალხო ნოტარიუსის

მოადგილე **გრინიოვი.**

ქუთაისის უფროსი სახალხო ნოტარიუსი აცხადებს რომ 25 აგვისტოს 1922 წ. დამტკიცდა 18 აგვისტოს 1922 წ., შესრულებული ნასყიდობა, მიცემული **მელიტონ ყარამანის ძე ნანეიშვილის** მიერ ვლადიმერ ზაქარიას ძე დევძისადმი მამულის, მდებარე ქალაქ ქუთაისში გოსპიტლის ქუჩაზე, ზომით 88 კვ. საჟ. შენობებით, ფასათ 10.000,000 მან. სიმტკიცის 400,000 მან. გადახდილია და შეტანილია ქუთაისის ხაზინაში 95 აგვისტოს 1922 წ. № 7083 ქვეშე.

უფროსი სახალხო ნოტარიუსის

მოადგილე **გრინიოვი.**

ქუთაისის უფროსი სახალხო ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1922 წ. 18 აგვისტოს დამტკიცდა ნასყიდობა, 20 ივლისს 1922 წ. შესრულებული, მიცემული **კონსტანტინე სიმონის ძე ჯორჯაშვილის** მიერ ვასილ სიმონის ძე თევდორაძისადმი ნაკვეთი ცარიელი მიწა მდებარე ქ. ქუთაისში გოსპიტლის 3 რველ შესახვევში, და შეიცავს ზომით და სამზღვრებით შორის: აღმოსავლეთით რიონის მხრით 6 საჟ. დასავლ. ივანე ანტონის ეზოს და სახლის მხრივ 6 საჟ. ჩრდილოეთით ბ თლოკე მოსეშვილის სამზღვარზე 14 საჟ. და 1 არშ., სამხრ. გამყიდველის ქორქაშვილის ეზოს მხრივ 15 საჟ. ჩრდილოეთის მხრივ მოსეშვილის სამზღვრის პირად 14 საჟ. სიგრძეზე არის გამყიდველის საერთო ქვის ღობე, ამ ღობის ნახევარი ნაწილიც და ამ მამულში შემოსავალ გასავალი გზაც სიგანით 6 არშ. და სიგრძით კი 8 საჟ. ანუ რამდენიც აღმოჩნდება გოსპიტლის ქუჩ. პირად შესახვევამდი შედის ამ ნასყიდობაში; ფასათ 30.000,000 მან. სიმტკიცის ბაჟი 1.200,000 მან. გადახდილია და შეტანილია ქუთაისის ხაზინაში 16 აგვისტოს 1922 წ. № 6817 ქვეშე.

უფროსი სახალხო ნოტარიუსის

მოადგილე **გრინიოვი.**

ნ. დ. ს. ც. ტფილისი. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრ. მ.-3 სტამბა—ტირაჟი 2300.